

სარგო ჯიქია

სამეცხე-საათაბაგოს გოპონიმიკისა და ისტორიული გეოგრაფიის ზოგიატოი საკითხი

I¹

1. მზვარე. ჩრდილი. ჩილდირი.

„გურჯისტანის ვილნიეთის დიდ დავთარში“ წარმოდგენილ საგეოგრაფიო ტერმინებს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს სიტყვები „მზვარე“ და „ჩრდილი“, რომელთაც საკმაოდ ხშირი გამოყენება აქვთ თურქთა მიერ დაპყრობილი ჩვენი ქვეყნის ნაჰიდე'ებად (რაიონებად) დაყოფის დროს. ჩვენ გვაქვს სამი შემთხვევა, სადაც ერთიმეორესთან დაპირისპირებით ახალციხის, ფოცხოვისა და დიდი-არტაანის ლიეებში (სანჯაყებში) სხვა საკუთარი სახელე-ბის მქონე რაიონებთან ერთად გვხვდება მზვარისა და ჩრდილის რაიონი (II 7, 19, 20, 22-37, 37-55, 294, 312, 393, 394, 403-439, 439-460). ამას გარდა ტაოს რაიონებში შემავალ სოფელთა სიას დართული აქვს შემდეგი დროის მინაწერი, რომელიც შეიცავს ოლთისის ლიეში შემავალ რაიონთა და სოფელთა მხოლოდ ჩამოთვლას სოფლებზე შეწერილ გამოსაღებთა ფულადი ღირებულების საერთო ჩვენებით.

ამ მინაწერში სიტყვა „მზვარე“ 26 ჯერ გვხვდება, ხოლო „ჩრდილი“ — 13-ჯერ (II 399-402). ოლთისის ლიეშიც „მზვარის“ და „ჩრდილის“ სახელით, ალბათ, თითო რაიონი იყო ისევე, როგორც ახალციხის, ფოცხოვისა და დიდი-არტაანის ლიეებში ასეთი სახელწოდების რაიონი თითო-თითო იყო².

¹ ეს წერილი ნაწილია შრომის, რომელიც სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების გეგმით არის გათვალისწინებული 1950 წლისათვის. წერილში დასმული საკითხები ძირითადად „გურჯისტანის ვილნიეთის დიდი დავთარის“ (შემოკლებით—„დავთარი“) მონაცემების მიხედვითაა განხილული (წიგნი II, თბილისი, 1941 წ.); ამ წიგნზე მითითება ყველგან თვით ტექსტშივეა მოცემული). ამავე თემიდან ცალკე დამუშავებულ და უკვე დაბეჭდილ ერთ წერილში („სოფ. დღივის ლოკალიზებისათვის ჯავახეთში“, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. VII, № 3, 1946 წ., გვ. 149) და „დავთარის“ II წიგნის რუსულ წინასიტყვაობაში (გვ. XIII), ჩვენ მოკლედ უკვე ვქონდა ლაპარაკი იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა აქვს „დავთარის“ მასალებს, სხვათა შორის, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკის საკითხების კვლევისათვის.

² 26-ჯერ მზვარის რაიონი და 13-ჯერ ჩრდილისა იმიტომ იხსენიება, რომ აქ არეულა და მოცემული სხვადასხვა სოფლის ცალკე-ცალკე ჩამოთვლა და ამათუბ რაიონის (მზვარის თუ ჩრდილისა) დასახელება იმდენჯერაა გამოვრებული, რამდენი სოფელიც იხსენიება ამ რაიონისა.

„მზვარე“ და „ჩრდილ“ სიტყვებს, როგორც ირკვევა, ძველ საქართველოში გაცილებით უფრო ფართო გამოყენება ჰქონდათ, ვიდრე ეს დღეს არის.

„ქართული ოთხთავის ორ ძველ რედაქციაში“, სხვათა შორის, „ჩრდილოეთის“ აღსანიშნავად „ჩრდილო“ გვხვდება¹.

გრ. ხანძთელის „ცხოვრებაში“ „მზუარც“ ნ. მარის განმარტებით ნიშნავს *залимый лучами солнца, букв. солнечный*. „მზუარც“-ს წარმომადგენლობას ნ. მარი უკავშირებს კანურ „მეორას“ (=მზე). ამასთან დაკავშირებით იგი დამახინჯებულად მიიჩნევს „სახისმეტყველში“ (I, 1-2) ნახმარ „მზარ“ სიტყვას, მისგან აღადგენს „მზუარი“ (მზუარე?)²-ს და „მსუენი მზ'უ'არისაჲ“-ს თარგმნის *солнечная ящерица*-დ³.

საბასთან „მზვარე“⁴ და „მზუარე“⁵ ნიშნავს «ადგილს მზის მდგესა, ამზემდეგი ადგილი მოთბოა», ხოლო „ჩრდილი“ — «[ადგილი], სადა მზის შუქი არა დგესა»⁶. ზოგ ქართულ დიალექტში ეს სიტყვები დღესაც იხმარება ასეთივე მნიშვნელობით⁷: მზვარე — ადგილი, რომელსაც მზე ხვდება, ჩრდილი — მზვარის მოპირდაპირე, უმზეო ადგილი, უმზეო მზარე.

გარკვეული ტოპოგრაფიული ცნებების გადმოსაცემად ძველ საქართველოში „მზვარე“ და „ჩრდილ“ სიტყვათა დიდ გავრცელებულობას მოწმობს, სხვათა შორის, ის გარემოებაც, რომ ზოგან ეს ზოგადი სიტყვები საკუთარ სახელებად შერჩა ამა თუ იმ გეოგრაფიულ პუნქტს. მაგალითისათვის აქ შეიძლება დავასახელოთ ორჯონიკიძის (ყოფ. ხარაგოულის) რაიონში სადგურ წიფის სამხრეთით მდებარე სოფლები *ზვარე* და *ჩრდილი* (ჩდილი), პირველი მთის სამხრეთ (მაშასადამე მზიან) ფერდობზეა, ხოლო მეორე — მის პირდაპირ მდებარე მეორე მთის ჩრდილოეთ, ე. ი. უმზეო მზარეზე⁸.

¹ იხ. სერია: ძველი ქართული ენის ძეგლები. 2. გამოსცა აკაკი შანიძემ. თბილისი. 1945 წ., გვ. 246, ლუკა, 13, 29. შდრ. ი. იმნაიშვილი. ქართული ოთხთავის სიმფონი-ლექსიკონი. თბილისი, 1948-1949 წ., გვ. 705.

² Н. Марр, Г. Мерчур. Жизнь Григория Хандзтийского. СПб. 1911, გვ. LIX; აგრეთვე გვერდი კდ₁₂ და 102₁.

³ ქართული ლექსიკონი. პროფ. ი. ყიფშიძისა და პროფ. ა. შანიძის რედაქციით. თბილისი, 1928 წ., გვ. 210.

⁴ იქვე, „სიცხესთან“, გვ. 318.

⁵ იქვე, გვ. 411.

⁶ ერთი ქართული ქალი ბალსა ჰყიდდა და მყიდველებს არწმუნებდა, რომ ბალი მზვარეზე არის მოკრფედილი, ე. ი. მოკრფედილია ისეთ ხეზე, რომელსაც მზე უყურებს და ნაყოფი ტკბილი აქვსო. რადგანაც ვენახმა რომ კარგად გაიზაროს საჭიროა მზიანი ადგილი. შეიძლება ვენახის მნიშვნელობის მქონე ქართ. სიტყვა „ზვარი“ (ქიზიყში „მზვარ“-იც ყოფილა, სტ. მენთეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, თბილ., 1943, გვ. 70) თავის წარმოშობით „მზვარე-ზვარე“-ს უკავშირდებოდეს. საინტერესოა, რომ ქიზიყში „მზვარე“-ს შესატყვისი ყოფილა „პირიმზე — სამხრეთისაკენ პირმქცეული მიწა, მზიანი ადგილი (სტეფ. მენთეშაშვილი, ქიზიყ. ლექსიკ., გვ. 143), ხოლო „ჩრდილის“ შესატყვისი „პირიჩრდილი — ჩრდილოეთისაკენ პირმქცეული მიწა“ (იქვე, 144).

⁷ „საქართველოს ისტორიული რუკა“, პროფ. ივ. ჯავახიშვილის რედაქტორობით. თბილისი. 1923. აგრეთვე „საქართველოს სსრ ადმინისტრაციული რუკა“, სსრკ სკს-თან არსებული გეოდეზიისა და კარტოგრაფიის მთავარ სამმართველოს გამოცემა. თბილისი, 1938 წ.

ასეთივე წარმომავლობის სახელია უთუოდ „ჩვენი ჩდილისა“, რომელიც ვახუშტით „ჩხერიმელას ერთვის“ და „გამოსდის მცირე ლიხის მთასა“¹ ალბათ, ამგვარადვე დაერქვა „ზვარე“ სახელი აჭარაში ქედას რაიონში ხულოს მიმართულებით მდებარე ერთ სოფელს: «Мы миновали деревню: Зваре...»². უთუოდ „ჩრდილ“ სიტყვას უკავშირდებიან გეოგრაფიული პუნქტები: Чылдырт-ის³ ფოცხოვის ლივს სწორედ ჩრდილის რაიონში, ნასოფლარი ჩირდილი მთათუშეთის გომეწორის ხეობაში (ახმეტის რაიონი)⁴, ჩრდილისუბანი საბარათიანოში⁵ და სხვ.

„დავთარში“ „მზვარე“ და „ჩრდილ“ სიტყვებით აღნიშნულია არა მარტო ვილნაეთის ნაჰიეები, არამედ ერთი და იმავე მთის მოპირდაპირე მხარეები. ჩილდირის ლივსა და ჯანბაზის რაიონში მე-14 და მე-15 პუნქტად, როგორც საგადასახადო ობიექტი, ფიქსირებულია Ҷарҭ-ისა და კისირის მთების იალაღები ჩრდილისა და მზვარის მხარეებით كونی و قوزای (II 265)

ამრიგად, ცხადი ხდება, რომ „მზვარე“ (ან მისი დიალექტური ფორმა „ზვარე“) და „ჩრდილი“ სიტყვები საქართველოში გავრცელებული იყო დიდი ხნიდან, როგორც ტექნიკური ცნებები გეოგრაფიული პუნქტების ტოპოგრაფიულად განსასაზღვრავად.

ქართულად „მზვარე“ და „ჩრდილ“ სიტყვებად ვთარგმნეთ ჩვენ თურქული „დავთარის“ كونی — güney და قوزای — kuzay სიტყვები. ამ სიტყვათა მნიშვნელობა თურქულ ლექსიკონებში შემდეგნაირად არის ახსნილი:

I. XI საუკუნით (1066 წ.) დათარიღებულ მაჰმუდ ქაშღარელის ლექსიკონში „დინან ლულანთ ათ-თურქ“ güney (=მზვარე) სიტყვა არ არის ფიქსირებული, ხოლო kuzay-ს, ჩვენის აზრით, პროტოტიპზე ნათქვამია:

يَقَالُ لِمَقْنُوَةِ الْجِبَالِ قُرْ تَاغْ، وَ هُوَ الَّذِي لَا تَطْلُعُ عَلَيْهِ الشَّمْسُ إِلَّا بَعْدَ الزَّوَالِ وَ

يَكُونُ عَنْ يَسَارِ الشَّمْسِ وَ يَغْلُبُ عَلَيْهِ الْبَرْدُ وَ الثَّلْجُ — მთების ჩრდილიან ადგილს —

ეტყვიან ტაგ-ს; ეს ის არის, რასაც მზე არ ადგება თუ არ ჩასვლისას. ეს [უმზეო ადგილი] არის მზის მარცხენა მხარეს, რომელზედაც სჭარბობს სიცივე

¹ ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. თბილისი, 1941, გვ. 82.

² Д. Баградзе, АПГА, გვ. 52. ზვარის სასოფლო საბჭო და მდინარე ზვარე ქედში (იხ. გაზ. „კომუნისტი“. 2. IX, 1948 წ.).

³ Спец. карта Европейской России.

⁴ ეს უკანასკნელი ცნობა მომავლად დოც. გრ. ზარდალიშვილმა, რისთვისაც, დიდად ვაძლავ.

⁵ ე. თაყაიშვილი, მასალანი საქართველოს სტატისტიკურის აღწერილობისა მე-თვრამეტე საუკუნეში: I. აღწერა მეწინავე დროშისა საბარათაშვილოსა.... თბილისი, 1907, გვ. 45.

და თოვლი“¹. კ. ბროკელმანს ეს ადგილი მოკლედ აქვს გადმოცემული: „*quz tay — Berg im Norden, den die Sonne nicht bescheint*“². ასევე მოკლედ აქვს ეს ადგილი მოტანილი ამ ლექსიკონის ინდექსის თურქ შემდგენელს: *kuz — güneş görmeyen yer, gölge yer*³.

II. აკად. ვ. რადლოვით *كونی* (osm. ungebr.) 2. *восток*. 3. *место, освещенное солнцем*⁴, ხოლო *кузай* [*قوزای* Dsch'agataische schriftsprache] *место, в которое не проникает солнце*⁵.

III. ლექსიკოგრაფ ა. ვეფიქ ფაშას მიხედვით *كونی* [-*güney*] — *شرق* *بركه اصلا كونش اوغراميه* [*قوزای* *kuzay*] — *شرق* *شرق* [= 'ადმოსავლეთი']⁶, „*قوزای* [*kuzay*] — *اوغراميه*“⁷. „*قوزای* [= 'ადგილი, რომელსაც მზე სრულებით არ ხვდება']“⁸.

IV. დიალექტოლოგიურ ლექსიკონში შემდეგი ვითარებაა: *güney* (Isparta, Sivas, Kayseri, Niğde, Burdur, Trabzon, Çangırı) — *güneşe nazır olan yer* (= 'ადგილი, რომელსაც მზე უყურებს')⁹. *kuzay* (Ankara, Niğde, Adana, Avşar); *kuzayı* (C. A.): *gölge yer, güneş görmeyen yer* (= 'ჩრდილი ადგილი; ადგილი, რომელსაც მზე არ უყურებს')⁹. *kuz* (Burdur, Adana, Sandıklı, Isparta, Konya, Teke); *Kuzluk* (Mentesé); *kuz yeri* (Erbaa, Zile, Amasya); *kuz yer Alâiye*: *günes, gün görmeyen yer* (= 'ადგილი, რომელსაც მზე არ ხვდება')¹⁰. „*Гюнай* (*كُونای*) *солнечная сторона местности; сторона горы, обращенная к югу*“¹¹, *кузай* (*قوزای*) *тенивая сторона горы (употребляется в смысле пастбищ)*¹².

V. უახლესი ლექსიკონები: *güney* — *юг*¹³, *kuzey* — *север*¹⁴, *cenub* —

1. *كتاب دیوان لغات الترك. مؤلفی: محمود بن الحسین بن محمد الكاشغری. (= 1914-1915 წ.), 83. 273-274.*

2. C. Brockelmann, *Mitteltürkischer Wortschatz nach Mahmūd al-Kāşgarī's Dīvān Lugāt at-Türk*. Budapest-Leipzig. 1928, 83. 167. ტრანსკრიფცია ყველგან სათანადო ავტორისაა.

3. B. Atalay, *Divanü lûgat-ı-türk dizini „endeks“*. Ankara, 1943, 83. 391.

4. В. Радлов, *Опыт словаря турецких наречий*. II, 83. 1635.

5. იქვე 83. 1018.

6. *وفیق پاشا — لهجة عثمانی*. 740.

7. იქვე, 83. 651.

8. H. Zübeyr, I. Refet, *Anadlıden derlemeler*. Ankara, 1932. 83. 155.

9. იქვე, 257.

10. იქვე.

11. С. П. Зелинский, *Объяснительный словарь татарских, грузинских и армянских слов, вошедших в Материалы для изучения экономического быта государственных крестьян Закавказского края*. Тифлис, 1889 г., 83. 17.

12. იქვე, 83. 38.

13. Д. А. Магазаник, М. С. Михайлов, *Словарь турецких неологизмов*. Москва. 1935, 83. 35.

14. იქვე, 83. 50.

güney, şimal—kuzey¹. Güney—солнечное место, солнечная сторона²; kuzey, kuzov—северная, теневая сторона горы³.

ამ ლექსიკოგრაფიულ მონაცემებზე ჩვენ შემდეგი შენიშვნები გვაქვს:

I. მ. ქაშლარელის ლექსიკონში güney 'მზვარე' სიტყვა შემთხვევით უნდა იყოს გამორჩენილი, რადგანაც საპირისპირო მნიშვნელობის quz taγ ('ჩრდილიანი მთა') სიტყვა ამ დროს არსებულა. საინტერესოა, რომ შემდგომი დროის kuzay სიტყვა XI საუკუნეში აღწერილობითად გადმოიციმოდან: quz (ან kuz) საერთოდ თურქულ ენებში, როგორც ჩანს, ნიშნავდა 'შავს' 'ბნელს' (შდრ. قرزغون — kuzgun 'ყორანი'). შამს-ედ-დინ სამნის მიხედვით قرز უიღურულში 'ჩრდილიანს', 'ბნელს' ნიშნავს⁴. მეორე სიტყვა taγ (=თანამედროვე სამხრულ თურქულ ენებში dağ — غدا) 'მთას' ნიშნავს. ამრიგად, quz taγ قر غ 'ბნელ, ჩრდილიან მთას' ნიშნავს; უფრო ზუსტად მთის იმ მხარეს, რომელიც მზის მიერ არ არის განათებული, რომელსაც მზე არ ხვდება.

II. ვ. რადლოვის ტრანსკრიფცია كوني სიტყვის დაწერილობისა — r'yn' სწორი არ უნდა იყოს, რადგანაც სხვა წყაროებში ყველგან güney გვაქვს.

ვ. რადლოვს სავსებით სამართლიანად მიაჩნია güney (და, ალბათ, kuzay-ც) ოსმალურში ხმარებიდან გამოსულ (ungebr.) სიტყვად. მართლაც, თანამედროვე სალიტერატურო თურქულში güney და kuzay სიტყვები არქაიზმებს წარმოადგენდნენ. ისეთ ცნობილ ლექსიკოგრაფს, როგორცაა შამს-ედ-დინ სამნ, თავის განმარტებით ლექსიკონში قاموس ترکی — ეს სიტყვები არ მოეპოვება ისევე, როგორც სხვა თანამედროვე თურქულის ლექსიკონებში ეს სიტყვები, როგორც დაძველებულები, მოტანილი არ არის. უკანასკნელ ხანებში თურქეთში გაძლიერებული პურისტული ნოძრეობის შედეგად ეს სიტყვები არქაიზმებიდან ნეოლოგიზმებად იქცნენ. უახლოეს წლებში გამოცემულ ლექსიკონებში „სამხრეთ“ და „ჩრდილოეთ“ ცნებებისათვის შესაბამისად არაბულ cenup-სა და şimal სიტყვებთან ერთად güney და kuzay-საც აქვს დათმობილი ადგილი, როგორც ნეოლოგიზმებს⁵.

III. ვ. რადლოვი და, განსაკუთრებით, ვეფჩეფაშა güney სიტყვას „აღმოსავლეთად“ თარგმნიან. ეს კი სწორი არ არის, რადგანაც, ჯერ ერთი, თურქულ ენებში „აღმოსავლეთისათვის“ (არაბ. شرق სიტყვის გარდა) გამოყენებულია doğ — (= 'მზის ამოსვლა') და чыг — (= 'ამოსვლა') ზმნათაგან წარმონაქმნი სიტყვები (doğru, gündoğusu, ოიროტული — к'үн чыгыш, ყირგიზული —

¹ Osmanlıcadan türkçeye cep kılavuzu. სტამბოლი, 1935, გვ. 50 და 297.

² Azərbaycanca-rusça lüğət. Баку, 1939.

³ იქვე.

⁴ قاموس ترکی — ش. سامی — 1099.

⁵ მაგალითად. Д. А. Магазаник, Турецко-русский словарь. Москва, 1945 გვ. 222, 364 და სხვ. (ახალ სიტყვებს [неологизм]-ის ნიშანი უზის).

кучеъъс და სხვ. და სხვ.). მეორე—güney-ს [=მზვარე] მნიშვნელობა უპირისპირდება kuzay-ს, ე. ი. güney kuzay-ს მოპირდაპირე მხარეა და რამდენადაც kuzay, როგორც დავინახეთ, „ჩრდილის მხარესა“ და „ჩრდილოეთს“ ნიშნავს, მისი მოპირდაპირე güney მხარე არ შეიძლება „აღმოსავლეთს“ ნიშნავდეს.

IV. საყურადღებოა, რომ ანატოლიის დიალექტების მთელ რიგში güney და kuzay სიტყვები დაცულია და ზუსტად იმავე მნიშვნელობით, როგორც ეს ძველი თურქულისათვის არის ცნობილი¹. ანატოლიის ზოგ დიალექტს კი (მაგ. ბურდურის, ადანის, სანდიკლის, ისპარტის, კონიისა და თექესი) შემოუნახავს მ. ქაშლარელის მიერ XI საუკუნისათვის დადასტურებული kuz (=kuzay) ფორმა, ზოგან (მაგ., მენტეშე) ამ სიტყვიდან (-luk აფიქსით) წარმონაქმნი kuzluk გვაქვს, ხოლო ზოგან აღწერილობითად ნაწარმოები kuz yeri (ერბაას, ზილესა და ამასიის დიალექტები) — ‘ჩრდილი, ადგილი მისი’, ‘ჩრდილის ადგილი’ ან, უფრო მარტივად, kuzyer-იც (ალაშიგეს დიალექტი) გვაქვს.

V. აღსანიშნავია, რომ უახლეს ლექსიკონებში (მაგალითად, თურქულში) güney და kuzay სიტყვათა მნიშვნელობა უფრო ვიწროვდება და მხოლოდ „სამხრეთ“ და „ჩრდილოეთ“ ცნებათა გადმოსაცემად გამოიყენება².

საინტერესოა güney და kuzay სიტყვათა ფონეტიკური სახესხვაობანიც. ზელინსკის, რომელსაც აზერბ. დიალექტური მასალები უნდა ჰქონდეს მოტანილი, ფიქსირებული აქვს гюнаѣ (كونا) და кузаяѣ (كوزا) ფორმები. თურქული ენებისათვის დამახასიათებელი ხმოვანთა ჰარმონიის კანონის თანახმად პირველადი ფორმა гюнаѣ სიტყვისათვის гюнеѣ (güney) უნდა ყოფილიყო. ამ შემთხვევაში, უნდა ვიფიქროთ, гюнаѣ-ს საპირსპირო кузаяѣ სიტყვის ანალოგიასთან გვაქვს საქმე. სხვა ენობრივ კოლექტივში, მაგალითად თურქულში, ეს ანალოგია საწინააღმდეგო მიმართულებისაა; აქ უკვე güney-ს გავლენით kuzey გვაქვს და არა kuzay³. ასეთივე ანალოგიის კანონი მოქმედებს, როგორც ჩანს, სალიტერატურო აზერბაიჯანულშიც, სადაც gunej და quzej გვაქვს⁴. აზერბაიჯანულში quzov და qyzej (=kuzey) ფორმებიც გვაქვს⁵.

güney და kuzay სიტყვები ორ ელემენტს შეიცავენ: პირველი — gүн (=‘მზე’, ‘დღე’) და kuz (როგორც ზემოთ დავინახეთ, =‘მავი’, ‘ბნელი’, ‘შემდეგ ჩრდილი’). გასარკვევია, რა უნდა იყოს მეორე კომპონენტი სიტყვისა — ay, ey. შესაძლებელია ეს იყოს yer სიტყვის ნაშთი; ვთქვათ, გვქონდა kuzyer (Alâiye-ს დიალექტისათვის სწორედ ასეთი ფორმა გვაქვს, იხ. ზემოთ) და günyer (ე. ი. ‘ჩრდილიანი ადგილი’ და ‘მზიანი ადგილი’), სიტყვის „გაცვეთის“ შედეგად ბოლოკიდური r შეიძლება ჩამოვარდნილიყო, ხოლო y-სა და e ბგერებს ადგილები ეცვალათ — günyer → günye → güney, kuzyer → kuzye → kuzey.

¹ იხ. ზემოთ გვ. 187-188.

² იხ. აქვე მე-4-5 გვერდზე (შენიშვნა 13-14 და 1) დასახელებული ლექსიკონები.

³ Д. А. М а г а з а н и к, М. С. М и х а й л о в, Словарь турецких неологизмов. გვ. 35-50. Osmanlıcadan türkçeye ser kılavuzu. İstanbul, 1935, გვ. 50 და 297.

⁴ Aşarhıca-rusça lügət, Bakı, 1939, გვ. 343, 670.

⁵ იქვე გვ. 670 და 671.

მეორე მხრივ ყურადღებას იქცევს *güneği*¹ ფორმა, რომელსაც ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორიც *güneş*-ს და რომელშიც გ გადმოვეცემს *y*-ს — *güneş* ჩვენ ამჟამად არ გვაქვს შესაძლებლობა *güneş-kuzay* სიტყვათა მეორე კომპონენტების წარმომავლობის საკითხების კვლევას გამოვუდგეთ. ამას შედეგისათვის გადავდებთ.

„მზვარე“ და „ჩრდილ“ სიტყვათა მნიშვნელობის უფრო ზუსტად გასარკვევად საქმე ასე უნდა წარმოვიდგინოთ: საერთოდ, მზვარისა და ჩრდილის მიხედვით მხარეების განსაზღვრა შესაძლებელია, რა თქმა უნდა, მთიან ადგილებში², სადაც მთის ერთი მხარე მზიანია, მეორე — მზისგან დაფარული. ამავე დროს მზვარისა და ჩრდილის მხარე შეიძლება გვქონდეს იმ შემთხვევაში, თუ მოცემულ მთას მიმართულება აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ აქვს. ასეთი მთის მზვარის მხარე სამხრეთის მხარეზეა დღის უდიდეს ნაწილში (მზის ზენიტამდე ასულა და ჩამოსვლა), ხოლო მისი გაღმა ნაწილი ემთხვევა ჩრდილოეთის მხარეს, რომელსაც ამ ხნის განმავლობაში მზე არ ხვდება. როგორც ზემოთაც ვთქვით, ასეთი მხარეების მიხედვით დაყოფილი მთები „დავთარში“ ორია დასახელებული³: ერთი — *არსის* მთისა და, მეორე — მთა *კისირის* იალაღები⁴ „ჩრდილისა და მზვარის მხარეებით“ (II 265).

სხვანაირი ვითარება გვაქვს, თუ მზვარისა და ჩრდილის მიხედვით მხარეთა განსაზღვრა ხდება ორ მთას შუა მდებარე პუნქტიდან. ვთქვათ, მაგალითად, ახალციხეს ორის მხრით აკრავს მაღალი ადგილი (ერთი მის ჩრდილოეთითაა, ხოლო მეორე — სამხრეთით). ჩრდილოეთის მთა (უფრო ზუსტად: ახალციხის ჩრდილოეთით მდებარე მთის სამხრეთი ფერდობები) ახალციხისათვის მზვარის მხარე იქნება, რადგანაც ეს მხარე მზიანია. სამხრეთის მთა (უფრო ზუსტად: ახალციხის სამხრეთით მდებარე მთის ჩრდილოეთი ფერდობები) ახალციხისათვის იქნება ჩრდილის მხარე, რადგანაც მას მზე არ ხვდება. მართლაც, „დავთარის“ მიხედვით ახალციხის ლივანს მზვარის რაიონი მზიანი რაიონია, ახალციხის ჩრდილოეთით მდებარე (სოფლები: წყრუთი, ტატანისი, ანი, მიქელწმინდა, კლდე, სვირი და სხვ.), ხოლო ჩრდილის რაიონი ახალციხის სამხრეთითაა (სოფლები: ვალე, სხვილისი, ორალი, პამაჯი და სხვ.).

ასევე ერთიმეორის მოპირდაპირე მხარეზე არიან დიდი-არტაანის ლივანში მზვარისა და ჩრდილის რაიონი. ქ. არტაანის ჩრდილოეთით მდებარე

¹ H. Zübeyr, I. Refet, *Anadilden derlemeler*. Ankara, 1932, გვ. 155.

² მ. ქაშღარელის ლექსიკონში „ჩრდილის“ მხარის გამომხატველი სიტყვა *quz* დაკავშირებულია *taş*-თან, რომელიც 'მთა' ს ნიშნავს. ამ ლექსიკონში არაბული განმარტებაც ასე იწყება: „მთების ჩრდილიან ნაწილს ეტყვიან“ და სხვ. (იხ. ზემოთ გვ. 3). ს. ზელინსკის ფრიად მართებული აზრსაც ამას უჭერს მხარს; ერთ შემთხვევაში აქვს „сторона горы, обращенная к югу“, მეორეჯერ — „теневая сторона горы (употребляется в смысле пастбища)“.

³ იხ. ზემოთ გვ. 187.

⁴ შდრ. ს. ზელინსკის ზემოთხსენილი განმარტება: „употребляется в смысле пастбища“.

მალღობების სამხრეთის კალთებზე მდებარეობენ ე. წ. არტაანის ლივანს მზეარის რაიონში შემავალი სოფლები: ბებერეკი (2)¹, ალაბალა (12), სარანგომი (22), სარძაბი (53) და სხვ. (II 393—394), ხოლო ქ. არტაანის სამხრეთით მდებარე მთის კალთაზე ჩვენ გვაქვს ე. წ. არტაანის ლივანს ჩრდილის რაიონის სოფლები: კინკრობი (15), გურჯიბეგი (10), სინდიზგომი (2), ბალდადი (5), კომკი (3), ახალშენი (7) და სხვ. (II, 394). ასეთივე სურათი გვაქვს ფოცხოვის ლივანს მზეარისა და ჩრდილის რაიონების მიხედვით სოფლების განაწილებაში (II 19, 20).

ჩვენ ვფიქრობთ, რომ „დავთრის „güney“ და „kuzey || kuzay“ სიტყვები ქართული „მზვარე“ და „ჩრდილ“ სიტყვათა თარგმანს წარმოადგენს. ამას ჩვენ გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ 1. როგორც ცნობილია, თურქები დაპყრობილ ქვეყნებში საერთოდ ადგილობრივ გეოგრაფიულ ნომენკლატურას თურქულად თარგმნიდნენ (შდრ. ქართ. „მგელციხე“ს თურქული თარგმანი قور قلعه (II 289), ქართული „საქართველოს ყელი“ — كورجى بوغازى, ქართ. „ოქროს ციხე“ — التون قلعه და სხვ. მრავალი. 2. „დავთრის“ შედგენისას ახალდაპყრობილი ქვეყნის ტოპოგრაფიული განლაგების საქმეში თურქები ისე ვერ იქნებოდნენ ორიენტირებულნი, რომ ლივანთა ადმინისტრაციულად დაყოფისას მზეარისა და ჩრდილის მხარეების მიხედვით რაიონებისათვის ახალი სახელები შეერქმიათ.

ჩვენ ზგმობთ დავინახეთ, რომ „მზვარე“ და „ჩრდილი“ ძველი ქართულისთვისაც დადასტურებულია და თანამედროვე ქართულ გეოგრაფიულ ნომენკლატურაშიც გვხვდება. ამდენად, ჩვენ ვფიქრობთ, XVI საუკუნის სამცხე-სათაბაგოში სათანადო კუთხეებს „მზვარე“ და „ჩრდილი“ ერქვა და كورى და قورجى-ის სახით ჩვენ აქ ამ სიტყვათა ზუსტი თურქული თარგმანი გვაქვს.

ამ მონაცემების საფუძველზე ჩვენ ბუნებრივად მიგვაჩნია დავსვათ საკითხი ჩილდირის ტბის სახელწოდების რაობის შესახებ და ვთქვათ, რომ „ჩილდირი“ იგივე ქართული „ჩრდილ“ სიტყვაა და „ჩილდირის ტბა“ ეს გადათურქებული გამოთქმაა ქართული სახელისა „ჩრდილის ტბა“.

ჩილდირის ან, უფრო იშვიათად, ჩალდირის სახელით ცნობილი (აწ თურქების მიერ მიტაცებულ ტერიტორიაზე მდებარე) ტბა ძველ ქართულ ისტორიოგრაფიულ ძეგლებში, შესაძლებელია, პალაკაციოს ტბადაც უოფილიყო ცნობილი², რადგანაც ამ ტბის მიდამოებსა და მის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე მთას პალაკაციო ჰქვია („ქუეყანასა პალაკაციოს“, „ქუეყანა... პალაკაციო³, „პალაკაციოს და აბოცს შორის“, „ყაიყულისა

¹ სოფლის სახელების შემდეგ ფრანგილებში ნაჩვენები ციფრები „დავთარში“ სოფელთა თანამიმდევრობის რიგს აღნიშნავენ.

² იხ., მაგალითად, აკად. ივ. ჯავახიშვილის რედაქტორობით გამოცემულ „საქართველოს ისტორიულ რუკა“-ზე (თბილისი, 1923 წ.) „პალაკაციო ტბა“.

³ ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. აკად. კეკელიძის რედაქციითა და გამოკვლევით. თბილისი, 1941. გვ. 82, 112.

და პალაკაციოს მთასა ზედა“¹. მაგრამ აღგილობრივ ქართულ მოსახლეობაში ამ ტბის სახელი უნდა ყოფილიყო ჩრდილის ტბა, რომელსაც თურქი დამპყრობლების წარმოთქმაში გადათურქებული „ჩილდირ“ ფორმა უნდა მოეცა.

„ჩრდილ“ სიტყვას თურქობის დროს შემდეგი სახესებით კანონზომიერი ტრანსფორმაცია განუცდია: თურქულისათვის უჩვეულო თავკიდური სამი თანხმოვნის თავყრილობა თავიდან აცილებულია ვიწრო ხმოვნის ჩართვით (ჩილდირლ)²; მომხდარა დისტანციური მეტათეზისი რ-სა და ლ-სი (ჩილდირ), რითაც მიღებულია თურქულისათვის ჩვეულებრივი ბგერათა კომპლექსი — ჩილ-დირ; „დირ“ (-dir.-dir) 'არის' თურქულში III პირის შემასმენლობითი აფიქსია, რომელიც ყოველთვის სიტყვას ბოლოში მოუდის ხოლმე: beldir 'ბარია', baldir 'თაფლია, და სხვ.; იგივე „დირ“ აფიქსი თურქულში კაუზატივობის მაწარმოებელია: bil-dir 'აცნობე' (bilim-k 'ცოდნა'), bin-dir 'შესვი ცხენზე' (binmek-იდან), al-dir 'ააღებინე' და სხვა. ჩილდირ-čildir-ში უკანა რიგის 1-ს (=რუსულ и-ს) გაჩენას ხელს შეუწყობდა ანალოგია და გააზრიანება თურქულში არსებულ სიტყვებთან 1. čil-dir (თურქ. „გადარევა“ ზმნის ბრძანებითი II პ. ფორმა); 2. ხმაბაძვითი სიტყვა čildir čildir და სხვ.

საბურთალოს მომიჯნავე სოფ. ზემო ვეძისის მცხოვრებს მუსა ალი-ოღლისთან მე მიწოდდა შემემოწმებინა, მოეპოვება თუ არა მათ დიალექტში „მზვარე-ჩილდირ“ სიტყვებს აზერბაიჯანული ეკვივალენტი და, თუ მოეპოვება, როგორი გაგება ჰქონდათ ამ სიტყვებს. ამხ. მუსა ერთობ დაკვირვებული კაცი აღმოჩნდა. მან დამიდასტურა ამ სიტყვათა არსებობა მათ მეტყველებაში, სწორად განმარტა ორივე სიტყვის მნიშვნელობა და, ჩვენდა სასიამოვნოდ, თან დასძინა, რომ ქართველები kuzay მხარეს „ჩილდირს“ ეძახიანო. ანის შემდეგ მე მრავალი შემთხვევა მქონდა მუსა ალი-ოღლის თანამეტომეებთან შემემოწმებინა ამ სიტყვის წარმოთქმა და შედეგი ყოველთვის ერთნაირი იყო: ქართული „ჩრდილი“ მათ წარმოთქმაში „ჩილდირს“ გვაძლევდა.

დაახლოვებით ასეთივე თურქიზებული ფორმა გვაქვს კლდეკარის სახელში. აკად. ე. თაყაიშვილი სახესებით მართალია, როცა ამბობს: „Название Кода-клар есть татарское произношение названия знаменитой грузинской крепости Кле кари“³. „კოდაკლჲარ“-ში, თუ ეს ფორმა სწორადაა ფიქსი-

¹ ვახუშტი, აღწერა საჩუქოსა საქართველოსა. თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. თბ. 1941. გვ. 48, 54. შარ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბილისი. 1948, გვ. 57. საინტერესოა ეგიატაშვილი ბერის ცნობა, რომლის მიხედვითაც ირ ვეა. რომ პალაკაციოს მთას, თურქები ივლდოღდის ეძახდნენ: „...სათაე ქრდელის თავსა გაოდავლითა ხენჭურის თავსა. პალაკაციოს მთამდე, რომელსა თურქი ივლდოღდის ეძახიან.“ („ახალი ქართლის ცხოვრება XVIII ს. დამდ.“, I: რექსი. ივ. ჯავახიშვილის წინასიტყვაობითა და რედაქციით, გვ. 48). აქედნე თურქულია და 'ქარს' ნიშნავს, ხოლო დოღდი (dugdi) 'ამოვიდა' „ქარი ამოვიდა“. ალბათ „ქარის ამოსასვლელი [მთა], მთა. საიდანა, ქარი ამოვიდა“

² ასეთი ფორმა, როგორც ზემოთ დავინახეთ, მათათუბეთშიც გვაქვს.

³ Е. Такайшвили, Археологические экскурсии (Известия Кавказского отд. арх. и этногр. Моск. арх. общества), вып III, Тифлис, 1913, გვ. 65.

რებული, თავიკდურ სამთანხმოვანთაგან „ლ“ გადასმულია „ა“ და „ჩ“ ბგერათა წინ, ხოლო სიტყვის თავში დარჩენილი (თურქულისათვის უჩვეულო) ორი ხშული „კდ“ დაშორებულია ერთიმეორისგან „ო“ ხმოვნით. ამრიგად, კოდაკლარ > კოდაკლმარ თუოქისათვის წარმოსათქმელად შეწყობილი სიტყვაა, რომლის ბოლო ნაწილი („ლარ || ლმარ“) მრავლობითობის აღმნიშვნელი აფიქსია.

„ჩილდირ“-თან ერთად ანგარიში უნდა გაეწიოს „ჩალდირ“ სიტყვასაც, რომელიც, მართალია თითქოს უფრო იშვიათად, იმავე ტბის სახელად იხმარება (ჩილდირის ტბა, ჩალდირის ტბა). აკად. ნ. მარს თავდაპირველ ფორმად „ჩალდირი“ მიაჩნია, რაც, ცხადია, სწორი არ არის. აკად. ნ. მარი წერს: *Это у озера Чылдыра, или точнее Чалдыра, в селении Даш-Керпи. შემდეგ Чалдыр სიტყვაზე სქოლიოში ანბობს, რომ у местных турок и „ა“ успел обратиться в неопределенный а (арм. լ, св[анск.] г), он произносит Qəldər.*¹ ნ. მარი Чылдыრ-ის პიოველ მარცვალში *ჩ*-ს *ა*-სგან მიღებულად თვლის. ეს ამბავი (*ა*-ს *ჩ*-ში გადასვლა), ნ. მარის აზრით, ადგილობრივ თურქულ მოსახლეობაში ნიშნავდა. მაშასადამე, თურქობის წინააღმდეგობა, ე. ი. უფრო ძველი და პირვანდელი ფორმა ჩალდირი (Чалдыр) უნდა ყოფილიყო, ანბობს აკად. ნ. მარი. განსვენებულ აკადემიკოსს არაფერი აქვს ნათქვამი იმის შესახებ, თუ რატომ უნდა ყოფილიყო „ჩალდირ“ პირველადი ფორმა, საიდან ჩანს ეს, რას უნდა გამოეწვია „ჩგლდგრ“-ში *ა*-ს *გ*-ში გადასვლა და სხვ. რა თქმა უნდა, ჩვენთვის ეს საკითხები არ დგას, რამდენადაც წარმოდგენილი მასალების მიხედვით გაირკვა, რომ „ჩილდირ“ იგივე ქართული „ჩრდილ“ სიტყვაა, რომელიც შემდეგ თურქული წარმოთქმით „ჩილდირ“-ი და „ჩგლდგრი“ გახდა.

აკად. ექვ. თაყაიშვილს „ჩალდირ“ ფორმა, რატომღაც, რუსულად მიაჩნია: „*აოდაგანის ოკრუგი... გაყოფილი იყო უჩასტკებად: ჩილდირისა (რუსულად: ჩალდირისა)...*“². პატივცემული აკადემიკოსი აიას ანბობს, თუ რატომ უნდა იყოს რუსული ასეთი ფორმა.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ „ჩილდირ“-თან ერთად „ჩალდირ“-იც ქართული „ჩრდილ“-ის თურქული დამახინჯებაა³. რადგანაც „ჩგლდგრ“-ის არაბულ-თურქული დაწერილობა — *چالدر* უხ.ონოა, მას შეეძლო სხვადასხვა წაკითხულობა ჰქონოდა. მართლაც *چالدر* ის „ჩალდირ“-ად წაკითხვა ისევე შესაძლებელი, როგორც „ჩგლდგრ“-ად და „ჩალდგრ“-იც ფონეტიკურად და სემანტი-

¹ Н. Марр, Надпись Сардыра II, сына Аргыштня, в Даш-Керпи на Чалдырском озере: Записки Кавказского Музея, серия В, I. Петроград, 1919, стр. 1.

² არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩაჩგლში 1907 წელს. პარიზი. 1938 წ., გვ. 3.

³ „დავთრის“ II წიგნში ჩილდირის სახელი შეცდომით ჩვენც ყველგან „ჩალდირ“-ად გვაქვს დაბეჭდილი (II 17—ორჯერ, 258—ორჯერ), რაც, რა თქმა უნდა, უნდა გასწორდეს „ჩილდირ“-ად და უფრო უკეთესი იქნება, თუ ჩვენ საერთოდ აღუადგენთ ამ ტბის სახელის ძველს, ქართულსა და სწორ ფარმას „ჩრდილ“-ს და ვუწოდებთ მას „ჩრდილის ტბა“-ს.

კურად ისევე ეგუება თურქულ ენას, როგორც „ჩლდგრ“ (çaldır, მაგალითად, ნიშნავს 'დააკვრეინე', 'დაარტყმეინე' და სხვ.).

„ჩილდირ“ სიტყვის შესახებ ეს ძიება ჩვენ დამთავრებული გვექონდა, რომ პროფ. ვ. დონდუამ ჩვენი ყურადღება მიაქცია მის მიერ ახლად შეძენილ სომხეთის ისტორიულ რუკას, რომელზედაც მეზობელი ქვეყნების ზოგიერთი მომიჯნავე გეოგრაფიული პუნქტიც არის აღნუსხული. ჩილდირის ტბის სახელად ამ რუკაზე მოცემულია *Շուլակ հիւսիսայ (Չըլաღը)*¹, სადაც *Շուլակ* = ტბა, ზღვა, ხოლო *հիւսիսայ* = ჩრდილოეთისა. ფრჩხილებში ავტორს მოცემული აქვს ტბის ქართული სახელი ჩლტგრ = ჩილდირი.

ჩვენი მოსაზრება, რომ „ჩილდირი“ ქართ. „ჩრდილ“ სიტყვაა, დასტურდება. ექვი არ არის, რომ აქ გვაქვს ტბის ქართული სახელის „ჩრდილის ტბის“ სომხური თარგმანი.

2. სოფ. ქილნავი (?) — საგვლია სათესველითურთ (II, 460)

არტაანის ტერიტორიაზე მდებარე იმ დასახლებულ პუნქტთა შორის, რომელნიც ჩვენს ძველ საისტორიო წყაროებში იხსენებია, ყურადღებას იმსახურებს სოფელ მგლინავი. სუმბატ დავითის ძის მიხედვით „შეიმტერნეს ურთიერთას და შეკრიბეს ლაშქარი ერთმანეთსა ზედა, ერთ კერძ გურგენ კურატპალატმან და ერთა მისთა, მეორე კერძ ადარნასე, ქართველთა მეფემან, და ბაგრატ არტანუჯელმან, მოვიდეს ესენი ქევსა არტანისასა, სოფელსა მგლინავს, და ბრძოლეს ერთმანეთსა“². ამ ისტორიულად მნიშვნელოვანი პუნქტის შესახებ აკად. ივ. ჯავახიშვილი სამართლიანად შენიშნავდა, რომ „ხეცა არტანისასა“ იყო „სოფელი მგლივანი [sic! ს. ჯ.] (სუმბატის ცა და უწყება 60), რომლის მდებარეობის გამოსარკვევად ჩვენ არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება“³. ამავე შრომაში განსვენებული მეცნიერი კვლავ უბრუნდება ამ საკითხს და სუმბატის იმავე წყაროს იმავე ადგილის მიხედვით ამბობს, რომ „არტაანში მოხსენებულია...ს. მგლინავი (სუმბატი, ცა და უწყება 60) და ტლაოში, ანუ ტალაშო, რომელთა მდებარეობა ვერ გავარკვეით“⁴. ამ თვალსაზრისით კიდევ საინტერესოა „ქართველი ერის ისტო-

¹ *ԱրտամակաՆ Հայաստան, կազմեց Գ. Վ. Խրդյան և ուր.* თბილისი, 1910 წ.

² სუმბატ დავითის ძის ქრონიკა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ. გამოცემა III. ტექსტი გამოსცა შესავლით, შენიშვნებით და ორი გენეალოგიური ტაბულით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა ე. თაყაიშვილმა. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკვეთი 27. თბილისი, 1949. გვ. 65.

³ ქართველი ერის ისტორია, II. თბილისი, 1948, გვ. 55 და თბილისი, 1914, გვ. 324.

⁴ იქვე, გვ. 56. ექვთიმე თაყაიშვილს სუმბატ დავითის ძის ქრონიკის როგორც ახალს (1949 წლის, გვ. 65), ისევე ძველ გამოცემაში („სამი ისტორიული ხრონიკა“, თბილისი, 1890 წ., გვ. 60) „მგლინავი“ აქვს (და არა „მგლივანი“. ე. თაყაიშვილი უკანასკნელ გამოცემაში „მგლინავი“-სათვის ხელნაწერის მეორე, თეიმურაზისეულ ვარიანტსაც იმოწმებს). ამდენად „ქართველი ერის ისტორიაში“ პირველად მოტანილი „სოფელი მგლივანი“ ორივე (1914-ისა და 1948 წლის) გამოცემაში კორექტურული შეცდომა უნდა იყოს და „მგლინავი“-ად უნდა გასწორდეს.

რის“ II წიგნში უამთაალმწერლის თხზულებიდან შემდეგად აღიღი-
 „ასე გზადაგზა ბრძოლით [ალათემური და ჰულაგუ ყაენი) ამოიწივნეს ქვეყა-
 ნასა არტაანს, სოფელსა რომელსა ჰქვიან მგლინავი“¹.

„დავთრის“ მიხედვით, დიდი-არტაანის ლივში შემავალი სამი რაიონი-
 დან ე. წ. ტყიანი რაიონის დასახლებულ პუნქტთა შორის გეორგ სოფლად
 იხსენიება სოფელი, რომლის სახელიც ჩვენ ამოკითხული გვაქვს ასე: კილ-
 ნავი (II 461). როდესაც ჩვენ „დავთრის“ II წიგნს (თარგმანს) ვაჩუშავებდით,
 სუმბატ დავითის ძისა და აკად. ივ. ჯავახიშვილის შემომოტანილი
 ცნობები სოფ. მგლინავის შესახებ გათვალისწინებულ არ გვქონდა. „დავთ-
 რის“ ڪلڪ (ტრანსლიტერაციით — „გ'ქლნავ“) დაწერილობა კი შესაძლებელი
 იყო „კილნავ“ად წაკითხულიყო, რადგანაც, 1. როგორც უკვე დადგენილია,
 ქართული მკვეთრი „კ“ უმთავრესად მუდგრი „გ“ თანხმოვნით და კ ასოთია
 გადმოცემული (მდრ. ს. კახარეთი = ڪاخاريت, II 67, ნიკოლოზ = ڪولوز და
 სხვ.) და 2. ორი თავკიდური თანხმოვანი თურქის წარმოთქმაში ვიწრო ხმო-
 ვანმა უნდა გაყაროს („კილნავი“) და ეს გარემოება, როგორც გაიკვა შეიძ-
 ლება გამოხატული იყოს გრაფიკულად, შეიძლება არა. რა თქმა უნდა, სიტ-
 ყვის ამნაირი ამოკითხულობა მხოლოდ სავარაუდო იყო ისევე, როგორც მე-
 სანე ასოსათვის (კ) დიაკრიტიკული ნიშნის დასმაც საეჭვოდ მიგვაჩნდა. ამი-
 ტომ არის, რომ „კილნავ“-ს დატანებული აქვს კითხვითი ნიშანი.

სოფ. მგლინავის, ამ ფრიად საინტერესო ისტორიული პუნქტის ადგილ-
 მდებარეობა, როგორც ეს აკად. ივ. ჯავახიშვილმა კარკა ხანია აღნიშნა,
 ჯერ კიდევ გარკვეული არ არის. არც ჩვეულებრივსა და არც სპეციალური და-
 ნიშნულების რუკებზე პუნქტი მგლინავი აღნიშნული არ არის. ჯერ ხნობით
 ჩვენს ხელთ არის მხოლოდ „გურჯისტანის ვილნიეთის დიდი დავთარი“, რომ-
 ლის ზოგიერთი მონაცემი საშუალებას გვაძლევს დადასტურდეს ჩვენი მებ-
 ტიანეების (სუმბატ დავითის ძისა და უამთაალმწერლის) ეს სა-
 ყურადღებო ცნობა სოფ. მგლინავის არსებობის შესახებ და გარკვეულ იქნეს
 მისი (ს. მგლინავის) ადგილმდებარეობა მიახლოებით მაინც.

ჩვენთვის ამჟამად სავსებით უეჭველია, რომ არტაანის აღნიშნული რაიონ-
 ისათვის ڪلڪ („გლნავ“) მოხაზულობით სწორედ სოფელ „მგლინავი“ ს
 სახელია გადმოცემული.

ჩვენ ვიცით, რომ ქართული სახელები, რომელთაც თავკიდურად მოუდით
 მ + ერთი ან ორი თანხმოვანი, თურქულში კარგავენ თავკიდურ „მ“-ს. სიტყ-
 ვის თავში დარჩენილი ორი თანხმოვანი (გლ) თურქის წარმოთქმაში უსათუოდ
 ჩაირთავს ვიწრო ხმოვან „ი“-ს (რაც ამ შენთხვევაში გრაფიკულად გამოხა-
 ტული არ არის). ბოლოკიდური „ი“ წესის მიხედვით აგრეთვე დაიკარგება.
 მაშასადამე, თურქის წარმოთქმაში „მგლინავი“ მოგვეცემა „გ'ი'ლნავ“-ს, რაც
 ბუნებრივია, ڪ, ڪ, ڪ, ڪ და و ასოებით უნდა ყოფილიყო გადმოცემული ڪلڪ-ის
 სახით.

¹ ქართველი ერის ისტორია, III. თბილისი, 1949. გვ. 180.

ახლა შეიძლება ცოტა-რამ ითქვას სოფ. მგლინავის ადგილმდებარეობის შესახებაც. ე. წ. ტყიანი რაიონი, რომლის მეორე სოფლად დასახელებულია მგლინავი, ქ. არტაანს ქვემოთ მდებარეობს, მტკვრის ორივე მხარეზე ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით. „დავთარში“ სოფ. მგლინავი იხსენიება შემდეგ სოფლებთან: ორჩოკი (რუკებზე Олхак-ადაა აღნიშნული), დუდუნა, გულაბერთი, ველი, გუგუბა, ური და სხვ. ყველა ეს სოფელი სპეციალურ რუკებზე აღნიშნულია. ს. მგლინავი, როგორც სტრატეგიული პუნქტი, დადასტურებულია XI-სა (სუმბატ დავითის ძის ქრონიკა) და XIII (ქამთააღმწერელი) საუკუნეებში. მგლინავი საკმაოდ დიდი სოფელი ყოფილა „დავთარის“ შედგენის დროს (1595 წ.), მის 27 კომლს, ეროვნებით მთლიანად ქართველებს, შეწერილი აქვს გადასახადი 26.000 ახჩის რაოდენობით. სოფ. მგლინავის ადგილმდებარეობის ზუსტად გამოსარკვევად საჭიროა მუშაობის ჩატარება ადგილობრივ. უნდა შესწავლილ იქნას ადგილზე ყველა ნასოფლარი ადგილობრივ მკვიდრთა მოშველიებით (შესაძლებელია, მაგალითად, რუკაზე სოფ. გუგუბასთან ახლო, მისი სამხრეთ-აღმოსავლეთით აღნიშნული ნასოფლარი, Р.[азваины] Д.[еревня], ყოფილი სოფ. მგლინავი იყოს.

ამგვარად: „დავთარში“ كل მოხაზულობით სოფ. მგლინავის სახელია გადმოცემული. ძველი ქართული ისტორიული წყაროების (სუმბატ დავითის ძე, ქამთააღმწერელი) მიხედვით სოფ. მგლინავი საქართველოს ისტორიაში იყო მნიშვნელოვანი გეოგრაფიული პუნქტი, „რომლის მდებარეობის გამოსარკვევად ჩვენ არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება“ (ივ. ჯავახიშვილი). ჩვენი „დავთარის“ მონაცემების საფუძველზე უფრო ზუსტდება ს. მგლინავის მდებარეობა. სახელდობრ, ის უნდა ყოფილიყო არტაანის ხევში, ე. წ. ტყიანი რაიონის იმ სოფელთა ჯგუფში, არემარეში, რომელიც ზემოთ იყო დასახელებული.

3. სოფ. ქევაქისი (?) — სოფ. სხპარა(?)სთან (II 267) كواس نرد سخوره

ვილნიეტის „დიდ დავთარში“ ორჯერ გვხვდება გეოგრაფიული სახელი, რომელიც ერთი და იმავე كواس მოხაზულობით არის გადმოცემული. ასეთი სახელის მატარებელი სოფელი (21-ე) პირველად აქ (ჩილდირის ლივანს) ჯამბაზის რაიონში იხსენიება, ხოლო მეორეჯერ მე-15 სოფლად იმავე ლივანს ქანარბელის რაიონში (II 284). ამ სოფელთა სახელები პირველ შენთხვევაში „ქევაქის (?),“ ხოლო მეორე შენთხვევაში „ქევაქის (?)-ად არის ამოკითხული. „დავთარის“ ამოწმებრვაზე სუშაობისას რუკებზე, ან სხვა წყაროებში ამ მოხაზულობის შესაბამისი სახელი ვერსად შევნიშნეთ და, რადგანაც ასეთი ამოკითხულობა (განსაკუთრებით სიტყვათა ვოკალიზაცია) მხოლოდ სავარაუდო იყო, ჩვენ ორთავე ადგილას კითხვითი ნიშნები დავსხით.

„დავთარის“ II წიგნის დაბეჭდვის (1941 წ.) შემდეგ ექვ. თაყაიშვილის მიერ გამოცემული „სამი ისტორიული ხრონიკის“ გულდასმით გადაკითხვამ

დაგვარწმუნა, რომ „დავთარში“ ზემოაღნიშნული მოხაზულობით გადმოცემული უნდა იყოს „მესხური დავითნის ქრონიკაში“ მოხსენებული გეოგრაფიული პუნქტი „ქვაკაცი“. ამ „ქრონიკაში“ ნათქვამია: „ივანობისთუჲს იზ, დღესა ოთხშაბათსა, ახალციხიდამ გავდეგით და ენკენისთუჲს ზ, ოთხშაბათს დღესა, წყაროსთაჲდამ გავდეგით, პარასკევს დღესა წურილნი და-ძმანი გაიყარნეს ქვაკაცთა, და ჩვენ ქალს დავდეგით...“¹. საინტერესოა შესაძარებლად ნოვიტანოთ აქვე ამ ციტატის იმავე ე. თაყაიშვილის მიერ შესრულებული რუსული თარგმანის ბოლო წინადადება: В пятницу меньшие братья и сестры простились друг с другом у Кв а - к а ц и , и мы остановились в Чале“².

ჩვენ საკვებით შესაძლებლად გვეჩვენება, რომ „დავთარის“ **كواکس** - ით, როგორც ამას ქვემოთ უფრო დამაჯერებლად დავინახავთ, გადმოცემული იყოს „ქრონიკაში“ ნახსენები სოფ. ქვაკაცი. ოღონდ ამასთანავე ერთად უნდა გაირკვეს აგრეთვე, „ქრონიკის“ „ქვაკაცი“ ჯამბაზის რაიონის **كواکس**-ია, თუ ქანარბელის რაიონისა. ისე კი უნდა აღინიშნოს, რომ ორივე **كواکس**-ი საკმაოდ მოზრდილი დასახლებული პუნქტებია: ჯამბაზის 21 კომლიან **كواکس**-ს 23.500 ახჩა აქვს შეწერილი, ხოლო ქანარბელის 25 კომლიანს კი—13.000 ახჩა („დავთარი“, იქვე).

„ქვაკაცი“ სიტყვა თურქულ ტრანსკრიფციაში სწორედ **كواکس**-ში წარმოდგენილი ასოებით უნდა ყოფილიყო გადმოცემული. სახელდობრ, „ქვაკაცი“-ის ანლაუტში ორთანხმოვნობას თურქი თავიდან აიცილენდა თანხმოვნებს შორის ან ვიწრო ხმოვნის ჩასმით (რაც გრაფიკულად შეიძლებოდა არ გამოხატულიყო), ან „ვ“ თანხმოვნის უმარცვლო „უ“თი გადმოცემით („ქივა“, „ქჟა“). სიტყვის მეორე ნახევარი „კაცი“ თურქულ წარმოთქმაში მოგვცემდა „გას“, ან „ქას“-ს ან არა და (სპარს.-თურქ. **کس** = 'პიროვნება, კაცი'სთან გააზრებით) „ქეს“ ფორმებს, რადგანაც „კ“ მკვეთრი თურქულში უმთავრესად „გ“-ში გადადის, ან, იშვიათად, „ქ“-საც გვაძლევს და კ ნიშნითაა გამოხატული, ხოლო ქართული „ც“ აფრიკატი თურქულში „ს“-თი გადმოცემა. ამდენად „ქვაკაცი“-ის გადათურქებული სახეობა „ქივაგას“, „ქუაგას“, „ქივაქეს“, და სხვ. ფორმები უნდა ყოფილიყო. ამასთანავე ერთად უნდა ითქვას, რომ რა ვარიანტიცაა არ უნდა წარმოეთქვა თურქს ეს სიტყვა, მისი გრაფიკულად გამოსახატავად უსათუოდ **ك, و, ا, ك** და **س** ასოები უნდა ყოფილიყო გამოყენებული.

„მესხური დავითნის ქრონიკაში“ მოხსენებული „ქვაკაცთა“ სიტყვის მრავლობითის ფორმა გვაფიქრებინებს, რომ სახელობით ბრუნვაში ამ სოფლის სახელი უნდა ყოფილიყო „ქვაკაცი“, რაც მიცემითში „ქვაკაცთა“ს მოგვ-

¹ „სამი ისტორიული ხრონიკა (ქართლის მოქცევისა, სუმბატისა ბაგრატიონების შესახებ და მესხური დავითნისა)“. გამოცემული ექვთიმე თაყაიშვილის მიერ. თბილისი, 1890. გვ. 83.

² Е. Такайшвили, Источники грузинских летописей. Три хроники. Тифлис, 1900. гв. 188—189.

ცემდა. „ქრონიკის“ ტექსტში სწორედ მიცემითი ბრუნვაა: „წურილნი და-ძმანი გაიყარნეს ქვა-კაცთა“, ე. ი. ივარაუდება „სოფელსა შინა ქვაკაცთა“. ჩვენს „დავთარში“, მართალია, მრავლობითობის „ნი“ აფიქსზე დაბოლოებულ გეოგრაფიულ სახელებს „ნი“ ზოგჯერ არ ეკვეცება (შდრ. „სოფ. განძანი“ II 234), მაგრამ „ნი“-ს ჩამოვარდნის შემთხვევაც არის (შდრ. „სოფ. ფოკა“ „ფოკან“-ის ნაცვლად, „დავთარი“, იქვე). ამდენად ამ სოფლის სახელის საწყისი ფორმა ე. თაყაიშვილის მიერ რუსულ თარგმანში მართებული სიზუსტით არ უნდა იყოს მოცემული და („простились друг с другом у Ква-каци“-ს წილ უნდა იყოს . у Квакаци“.

„სამი ისტორიული ქრონიკის“ ქართულსა და რუსულ გამოცემებში სოფ. ქვაკაცთა ადგილმდებარეობის შესახებ სრულებით არაფერია ნათქვამი. რუსული გამოცემის შენიშვნაში ამ სოფელზე მხოლოდ ისაა დაწერილი, რომ „Ква каци в переводе значит камень-человек“¹.

„მესხური დავითნის ქრონიკის“, სპეციალური რუკებისა და, უმთავრესად კი, „დავთარის“ მასალათა გათვალისწინებით და მათი ურთიერთ შეპირისპირებით, ვგონებთ, შესაძლებელია გაირკვეს სოფ. ქვაკაცთა ადგილმდებარეობაც.

საქმის ვითარება ასეთია: „მესხური დავითნის ქრონიკის“ მიხედვით მოქმედნი პირნი გამოდიან ახალციხიდან, გაივლიან წყაროსთავს, შემდეგ „წურილნი და-ძმანი“ დაშორდებიან ერთმანეთს ქვაკაცთაში და რამდენიმე პირი „ქრონიკის“ ავტორთან ერთად გაჩერდება ქალას². სოფელი ქალა, რომელიც „დავთარში“ ჯამბაზის რაიონში 28-ე სოფლად იხსენიება (II 170), მდებარეობს თეთრ-ციხესთან („ალჯა-ყალა“)³, ჩილდირის ტბის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე. წყაროსთავი, საიდანაც „ქრონიკაში“ მოხსენებული პირები აღმოსავლეთისაკენ მიემგზავრებიან, ხოზაპინის ტბის დასავლეთითაა⁴. წყაროსთავიდან ს. ქალის მიმართულებით მიმავალმა კაცმა, დაახლოვებით რომ ვთქვათ და რამდენადაც ეს რუკებზე აღნიშნული სასოფლო გზების მიხედვით შეიძლება შეინიშნოს, უნდა გაიაროს ქანარბელის ჩაისი, ქანარბელი, რაბათი, ძურწნა (რუკებზე—„ზურზუნა“)⁵. და აი, ამ ძურწნიდან აღმოსავლეთით ქალისაკენ მიმავალი გზა ებჯინება თითქმის ყველა მსხვილმასშტაბიან რუკებზე „Кевхас“-ად ფიქსირებულ პუნქტს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს „Кевхас“-ი უნდა იყოს როგორც „დავთარში“ ჯამბაზის რაიონისათვის დასახელებული كواسი-ი, ისე „მესხური დავითნის ქრონიკის“ „ქვაკაცთა“. Кевхას სახელი მეტიმეტად შერყენილი უნდა იყოს რუკის პირველი ვარიანტის შემდგენლების მიერ ჯერ ჩაწერისა და გადაწერის და შემდეგ ბეჭდვის დროს. შეიძლება კიდევ Кевхას-ი „ქვაკაც“-ის ზემოგანხილული გადათურქებული სიტყვების („ქივას“, „ქუვას“,

¹ Е. Такайшвили, Источники грузинских летописей..., გვ. 189.

² ე. თაყაიშვილი, სამი ისტორიული ქრონიკა, გვ. 83.

³ იხ. Спешная карта Европейской части, с прилегающими государствами (80).

⁴ იქვე.

⁵ იქვე.

„ქივაქეს“, „ქივაქას და სხვ.) სხვა ენობრივ კოლექტივებში უფრო სახეშეცვლილ ფორმა იყოს. ამასთანავე ერთად უნდა აღინიშნოს, რომ Кевхач სიტყვაში К-ს ნაცვლად Х ასო რომ გვაქვს — გრაფიკული შეცდომის შედეგი უნდა იყოს.

„ქრონიკის“ „ქვაკაც“-ის, „დავთრის“ كواكس-ისა და რუკების Кевхач-ის იდენტურობას ადასტურებენ, როგორც ზემოთაც ვნახეთ, ტოპოგრაფიული მონაცემებიც. გარდა იმისა, რომ წყაროსთავიდან ქალაში მიმავალი გზა „ქვაკაც“-ში („ქრონიკა“) და რუკების Кевхач-ში გაივლის, „დავთრის“ كواكس-იც ამ მიდამოებშია ნაჩვენები.

كواكس-ი (ე. ი. კვაკაცი) ფიქსირებულია „დავთარში“ ჩილდირის ლივნს ჯანბაზის რაიონის შემდეგ სოფელთა გარემოცვაში: რაბათი (1)¹, ურთა (2), ძურწნა (3, რუკაზე — Дзурзна), სხვარა (4, რუკაზე — Сухара), ყარაყალა (5, რუკაზე — Кара-Бала), კოტამახი (6, რუკაზე — Котамых), წინწალი (8, რუკაზე — Винал), ჯანბაზი (9), კამაროვანი (11, რუკაზე — Камарван), ფრუტი (13), აღჯაყალა (17), ზაქარწმინდა (18, რუკაზე Р. Д. Захарын) და სხვ. ყველა ეს სოფელი ჩილდირის ტბის ზემო წელის გარშემო მდებარეობს, ხოლო სოფ. ქვაკაცი (რუკაზე — Кевхач) ძურწნას, ფრუტსა და წინწალს შუა არის მოთავსებული, ჩილდირის ტბის ჩრდილოეთით.

როგორც ზემოთ დავინახეთ, ჩილდირის ორ რაიონში ორი كواكس-ია ნაჩვენები. ერთი მათგანი, სახელდობრ, ჯანბაზის რაიონის كواكس-ი, როგორც გაირკვა, „ქრონიკის“ „ქვაკაც“-ს უკავშირდება, მეორის, ქანარბელის რაიონის كواكس-ის მდებარეობა უცნობია. რა თქმა უნდა, არ არის განორიცილებული შესაძლებლობიდან, რომ ქანარბელის რაიონის كواكს-საც „ქვაკაცი“ ერქვა. მაგალითი იმისა, რომ ორ გეოგრაფიულ პუნქტს ერთნაირი სახელი ერქვას, სხვაგან რომ არ ვეძიოთ, ამავე კუთხეში მოიპოვება: სოფელი „ჩაისის“ სახელით ხოზაპინის ტბის დასავლეთითაც არის და ჩილდირის ტბის ჩრდილოეთ-დასავლეთითაც². მაგრამ ამ თვალსაზრისით უფრო საყურადღებო ის არის, რომ ადგილის სახელებად „ქვაკაც“ სიტყვა ძალიან გავრცელებული ყოფილა, მაგალითად, თრიალეთში. „დასტურლამალში“, „თრიალეთის სოფლების სამხლურების“ დადგენისას, ხათქვამია: „მაღლა რომ სამი ქუა-კაცი ზის“, „ქუა-კაცას ზეით“, „ქუა-კაცას ჩასწორ კევის პირამდინ“³ და სხვ. ამდენად, რა თქმა უნდა, ჩილდირის ე. წ. ლივნშიც შეიძლება არსებულიყო მეორე სოფელი „ქვაკაცის“ სახელით. ოღონდ სად იყო ეს მეორე, ქანარბელის რაიონში დასახლებული სოფ. ქვაკაცი ჯეოჯერობით უცნობია. დასახლებული პუნქტებისა თუ სხვა ადგილებისათვის ასეთი სახელის შერქმევას საფუძვლად უნდა ედვას ასეთ ადგილებზე ქვის მასალიდან ადამია-

¹ ფრჩხილებში მოთავსებული ციფრებით ნაჩვენებია „დავთარში“ სოფელთა თანამიმდევრობის ნომრები, იხ. „დავთარი“ II, გვ. 267 და შემდეგ.

² Специальная карта...

³ დასტურლამალი, გვ. 26 — 39. „დასტურლამალის“ ეს ცნობა მომყავს პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგის შრომიდან „ძვეალთური კულტურა საქართველოში“, თბილისი. 1938, გვ. 17.

ნის გამოსახულებათა არსებობა. თუმცა პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგის ძვრით „ქვა-კაცი“ „ქართულ ძველ ლიტერატურულ ძეგლებსა და ხალხურ ფოლკლორში ასეთ [აყუდებულ ვეებერთელა, დაუნუშავებელ ანდა ოდნავად დამუშავებულ] ქვებს ეწოდება“¹. ადამიანის გამოსახულებით იქნება ეს ქვა თუ დაუმუშავებელი, ამას ამჟამად ჩვენთვის მნიშვნელობა არა აქვს. ფაქტი ის არის, რომ ასეთი ქვის ობიექტების მიხედვით უნდა იყოს აღმოცენებული „ქვაკაც[ნ]“ საკუთარი სახელები.

ამრიგად, ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება დადგინდეს, რომ „დავთრის“ کواکس - ი კანონზომიერი თურქული ტრანსკრიბირებაა „მესხური დავითნის ქრონიკა“-ში მოხსენებული სოფ. ქვაკაც[ნ]ის სახელისა და ამდენად کراکس - ად და „ქვაკაც[ნ]“-ად ცნობილი პუნქტი ერთი და იგივე გეოგრაფიული პუნქტია. გარდა ამისა, დავთარში „کواکس“-ისათვის ჩამოთვლილ სოფელთა წრე ტოპოგრაფიულადაც სავსებით ემთხვევა „მესხური დავითნის ქრონიკაში“ სოფ. ქვაკაცთან განმსაზღვრელ დასახლებულ პუნქტთა (წყაროსთავი, ქალა) წრეს. „ქრონიკის“ მიხედვით ახალციხიდან გამგზავრებულ პირთა მიერ გავლილ სოფელთა თანამიმდევრობა (წყაროსთავი, ქვაკაცნი, ქალა) ადასტურებს, რომ სოფ. کواکس — ქვაკაცნი ამ გზაზე მდებარე და რუკებზე Кевхас-ად ფიქსირებული სოფელია.

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თურქოლოგიის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1950. X. 15).

С. С. Джикия

Некоторые вопросы топонимики и исторической географии Самухе-Саатабаго

Статья представляет часть работы, предусмотренной планом научно-исследовательской тематики университета на 1950 год.

Поставленные в статье вопросы рассмотрены в основном по данным „Пространного реестра Гюрджистанского вилайета“. Изучены грузинские и турецкие географические термины „мзварე-ჩრდლი“ и gūney-kūzaу и дана попытка объяснить название Чилдирского озера груз. словом „чрдили“. Во второй части статья более уточнено местоположение имеющего историческое значение географического пункта Мглинави. В конце статьи устанавливается идентичность географических названий کواکس („Реестр“), Кваццни („Хроника Мескийской псалтыри“) и Кевхас (на спец. картах).

¹ პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგის დასახელებული ნაშრომი, გვ. 17.